



ევროპული და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის
საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი

1 წლის ანგარიში

თბილისი

2016

ევროპული და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე ეფექტიანი კომუნიკაცია საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მიზნით, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის (18.03.15) სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად სახელმწიფო მინისტრის აპარატში, 2015 წლის 16 ივნისს შეიქმნა ცალკე სტრუქტურული ერთეული - სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი.

დეპარტამენტი შედგება 6 საშტატო ერთეულისა (დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, 3 მთავარი სპეციალისტი) და ერთი შტატგარეშე თანამშრომლისგან.

დეპარტამენტის მიზნები და ძირითადი ამოცანებია:

- ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე სტრატეგიული კომუნიკაციის გრძელვადიანი პოლიტიკისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება, კოორდინაცია და მონიტორინგი;
- თემატური გზავნილების შემუშავების კოორდინაცია;
- შესაბამისი კვლევების განხორციელება;
- ღონისძიებების ელექტრონული საინფორმაციო ბაზის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

2013 წლის 6 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგია 2014-2017 წლებისთვის, რომელიც შემუშავებულია სამოქალაქო საზოგადოებისა და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით და რომლის განხორციელებაც წარმატებით მიმდინარეობს წლიური სამოქმედო გეგმების საფუძველზე.

კომუნიკაციის სტრატეგიის მიზანია საქართველოს მოსახლეობის ინფორმირება ევროკავშირის, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების, ქვეყნის მიერ განსახორციელებელი რეფორმების შესახებ.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან ერთად ინფორმაციისა და კომუნიკაციის საკითხებზე აქტიურად მუშაობს მისი სსიპ-ი „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“.

„საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ პერმანენტულად ატარებს შეხვედრებს საქართველოს რეგიონებში მოსახლეობასთან, საჯარო მოხელეებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ბიზნესმენებთან, პედაგოგებთან, საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებთან. აღნიშნულ შეხვედრებზე ძირითადი ყურადღება ეთმობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განხილვას, ევროინტეგრაციის პროცესში საზოგადოების აქტიურად ჩართვის მნიშვნელობას, რეგიონში არსებულ პრობლემებსა და სამომავლო თანამშრომლობის საკითხებს.

2015 წელს სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად შესრულდა. აღნიშნულთან დაკავშირებით მომზადდა ანგარიში.

2015 წლის განმავლობაში განხორციელდა 342 აქტივობა, მათ შორის 145-მდე აქტივობა ჩატარდა შეხვედრის ფორმატში, 49-მდე აქტივობა - ტრენინგისა და სემინარის და 148-მდე საინფორმაციო ღონისძიების/კამპანიის ფორმატში. პირდაპირი კომუნიკაცია განხორციელდა 43 600-მდე საქართველოს მოქალაქესთან, მათგან შეხვედრის ფორმატში ჩატარებულ აქტივობებზე დამსწრეთა რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 28845-ს, სემინარი/ტრენინგი ჩაუტარდათ დაახლოებით 8170 საქართველოს მოქალაქეს, ხოლო საინფორმაციო ღონისძიების/კამპანიის (ტელე, რადიო, ბეჭდური მასალა) კომუნიკაცია განხორციელდა სრულიად საქართველოს მოსახლეობასთან.

სტრატეგიული კომუნიკაციის ეფექტიანი განხორციელების მიზნით შეიქმნა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე **სტრატეგიული კომუნიკაციის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი**, რომელიც აქტიურადაა ჩართული დეპარტამენტის მიერ ერთიანი თემატური გზავნილების შემუშავებაში. სამუშაო ჯგუფი შედგება სამინისტროების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და პარლამენტის წარმომადგენლებისგან. ასევე, შეიქმნა **სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტთა საკონსულტაციო ჯგუფი**.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონებში გამართული შეხვედრების, ასევე, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა აუცილებლობა, რათა სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის აპარატებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა გაამლიერონ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე სამსახურები.

ამ მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის დავალებით (17.09.15) **სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის აპარატებიდან და მუნიციპალიტეტებიდან გუბერნატორის, მერისა და გამგებლის მოადგილეების დონეზე მოხდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის საკითხებზე პასუხისმგებელ პირთა ნომინირება**, რომლებთანაც სახელმწიფო მინისტრის აპარატი აქტიურად თანამშრომლობს და აწვდის ინფორმაციას, რაც აადვილებს საზოგადოებასთან ეფექტიან კომუნიკაციას.

აღნიშნულ კანდიდატებს, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით რეგულარულად უტარდებათ სემინარი/ტრენინგები ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე ცნობიერების უფრო მეტად ამაღლების მიზნით. სემინარებს უძღვებიან, როგორც ადგილობრივი, ასევე ევროკავშირის ექსპერტები. აღნიშნულის ფარგლებში:

- **2015 წლის 1-2 დეკემბერს**, ქ. ყვარელში, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით **აღმოსავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის** გაიმართა ორდღიანი სემინარი;

- **2016 წლის 28-29 იანვარს, ქ. წყალტუბოში, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის** გაიმართა ორდღიანი სემინარი;
- **2016 წლის 20-23 მარტს, ქ. ბრიუსელში** გაიმართა სამუშაო ვიზიტი საქართველოს ყველა რეგიონის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის;
- **2016 წლის 26-30 მაისს, ლატვიაში,** გაიმართა სამუშაო ვიზიტი იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის;
- **2016 წლის 6-10 ივნისს, ესტონეთში, საქართველოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის** გაიმართა სამუშაო ვიზიტი.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი მჭიდროდ თანამშრომლობს ნატო-სა და ევროკავშირის სტრატეგიული კომუნიკაციის საკითხებზე მომუშავე შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში შექმნილ სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტთან, პრემიერ-მინისტრის აპარატთან, ასევე, დონორ და კვლევით ორგანიზაციებთან.

სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს საგარეო ქმედებათა ევროპული სამსახურის აღმოსავლეთ სტრატეგიული კომუნიკაციის სამუშაო ჯგუფსა (EEAS East Stratcom Task Force) და ნატო-ს სტრატეგიული კომუნიკაციის ცენტრთან (NATO Strategic Communications Centre of Excellence).

აღნიშნულის ფარგლებში, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ნატოს სტრატეგიული კომუნიკაციის ცენტრის (NATO Strategic Communications Centre of Excellence) და ნატოს სამოკავშირეო ოფისის ორგანიზებით მოწვეული ექსპერტების მიერ ჩატარდა სემინარები, კერძოდ:

- **2015 წლის 23-24 ივლისს,** სემინარი გაიმართა სტრატეგიული კომუნიკაციის საკითხებზე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის;
- **2015 წლის 7-9 დეკემბერს,** სემინარი გაიმართა ასევე, სტრატეგიული კომუნიკაციის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის, რომელიც შეეხებოდა სტრატეგიული კომუნიკაციის პრინციპებსა და პრაქტიკულ ასპექტებს;
- **2015 წლის 10 დეკემბერს,** კომუნიკაციის საკითხებზე მომუშავე შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისთვის გაიმართა სემინარი/დისკუსია სტრატეგიული კომუნიკაციისა და უსაფრთხოების თემებზე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიზანია, კიდევ უფრო გააქტიურდეს თანამშრომლობა, როგორც, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, ასევე სხვა პარტნიორ ქვეყნებთან

სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროში გამოცდილების გაზიარების მიზნით, შემუშავდეს ერთიანი სამოქმედო პოლიტიკა და დაიგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, როგორც კოორდინატორი უწყება და „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი“, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური თანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებით ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში აქტიურად აწარმოებს საინფორმაციო კამპანიებს, კერძოდ:

შემუშავდა კვლევის ინსტრუმენტი და აქტიურად მიმდინარეობს **საზოგადოებრივი აზრის კვლევა საქართველოს მასშტაბით**. შევსებული კითხვარების საფუძველზე ხორციელდება რეგულარული მონიტორინგი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესებთან დაკავშირებული საკითხების დინამიკის შესახებ. აღნიშნული საშუალებას გვაძლევს შევიძუშაოთ საინფორმაციო გზავნილები და მოსახლეობას მივაწოდოთ ინფორმაცია მათთვის საინტერესო თემებზე;

სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის, ასევე სტრატეგიულ კომუნიკაციაში ჩართული სხვა ორგანიზაციების **ღონისძიებების ერთიანი გეგმის შემუშავებისა და განხორციელების კოორდინაციის მიზნით**, ასევე, თემების გადაფარვისა და ფინანსური და ადამიანური რესურსების არაეფექტური მართვის თავიდან აცილების მიზნით, ესტონეთის რესპუბლიკის აქტიური მხარდაჭერით, შეიქმნა **ელექტრონული ბაზა - „სტრატეგიული კომუნიკაციის კალენდარი“**. კალენდარი წარმოადგენს ელექტრონულ მონაცემთა ბაზას, რომელშიც თავმოყრილია სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, ასევე, ყველა დაინტერესებული მხარის ღონისძიებები ევროპულ და ევროატლანტიკურ საკითხებზე კომუნიკაციის მიმართულებით. ბაზა განთავსებულია ჩვენი უწყების ვებ-გვერდზე და სრულად ფუნქციონირებს.

მომზადდა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია და სამოქმედო გეგმა ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტთან (DCFTA) დაკავშირებულ სიკეთეებსა და ამ მხრივ, ქვეყნის მიერ მიღებული სარგებლის შესახებ. კამპანიის ფარგლებში **შემუშავდა საინფორმაციო გზავნილები, რომლის მიხედვით მომზადდა 12 სოციალური ვიდეო რგოლი ევროინტეგრაციის პროცესზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისათვის**; რგოლები განთავსდა წამყვან ცენტრალურ და რეგიონულ მედია სივრცეში. ამასთან, აქტიურად ვთანამშრომლობთ წამყვან ტელევიზიებთან, რათა სატელევიზიო ბადეში გადანაწილდეს გადაცემათა ციკლი ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხზე, რაც ჩვენს მოსახლეობას აინტერესებს.

სტრატეგიული კომუნიკაცია მოიცავს არამხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთ შესაბამის კომუნიკაციასაც. ამ მიზნით, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით გამოიცა **წიგნი - „საქართველოს ევროპული გზა - პოლიტიკური და კულტურული პერსპექტივები“**. აღნიშნული წიგნი წარმოადგენს სტატიების კრებულს, სადაც ქართული ეროვნული და კულტურული იდენტობა განხილულია ევროპასთან ურთიერთობის

კონტექსტში. წიგნის მთავარი თემაა - მსგავსება-განსხვავება ქართულ და ევროპულ ეთნო-კულტურულ იდენტობებს შორის. წიგნის პრეზენტაციები გაიმართა, როგორც საქართველოში, ისე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დედაქალაქებში.

მომზადდა 2014-2017 წლების ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის 2016 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელება წარმატებულად მიმდინარეობს.

2016 წლის 4-19 აპრილს გაიმართა ნატოს კვირეული, რომელიც „ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმით“ დაიწყო. აღნიშნული ღონისძიება მომავალში ტრადიციულ ხასიათს მიიღებს. კვირეული სსიპ „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ ორგანიზებით, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან კოორდინაციით, თავდაცვის სამინისტროს, საქართველოში ნატოს სამოკავშირეო ოფისისა და რუმინეთის საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა. ნატოს კვირეული საქართველოში წელს მეცხრედ ჩატარდა.

2016 წლის 8-24 მაისს გაიმართა ევროპის კვირეული, რომელიც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ფრიდრიხ ებერტის ფონდისა და ევროკავშირის დელეგაციის მხარდაჭერით და ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით განხორციელდა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გამოიცემა **საინფორმაციო-ანალიტიკური ჟურნალი - „საქართველოს ევროპული გზა“**. ჟურნალის მიზანია დაინტერესებულ მკითხველს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ ევროინტეგრაციის კუთხით განხორციელებული რეფორმებისა და ღონისძიებების შესახებ, ასევე ევროკავშირის მხრიდან გაწეული დახმარების თაობაზე.

აპარატი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან და აკადემიურ წრეებთან. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა - „ახალი საქართველოს უნივერსიტეტთან“ (ფოთი), გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტსა და „ნიუ ვიჟენ“ უნივერსიტეტთან;

აპარატი აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა“ დაგეგმვასა და განხორციელებაში;

2016 წლის 14-15 ივლისს, ქ. ბათუმში, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით ტრადიციულად გაიმართა მე-13 „ბათუმის საერთაშორისო კონფერენცია - საქართველოს ევროპული გზა“. კონფერენციაში საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და პარტნიორი ქვეყნების მაღალი რანგის ოფიციალური პირები, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კონფერენციის

მონაწილეებს სიტყვით მიმართა ევროკომისარმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში იოჰანეს ჰანმა.

კონფერენციაზე განიხილებოდა ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორცაა: ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობები, ევროკავშირის საბჭოში სლოვაკეთის საპრეზიდენტო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება და ევროკავშირის მიერ გაწეული დახმარების როლი საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში. ყურადღება გამახვილდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში არსებულ გამოცდილებასა და გამოწვევებზე. ასევე, განიხილეს საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირებისა და მისივე შემადგენელი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებების განხორციელების პროცესი, ვიზა-ლიბერალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური სიტუაცია და უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები.

საქართველოში ევროკავშირის დახმარებებთან და გატარებულ რეფორმებთან დაკავშირებით, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით მომზადდა **დოკუმენტური ფილმი** (დოკუმენტალისტი - თომა ჩაგელიშვილი). დოკუმენტურ ფილმში ხაზგასმულია, რომ ევროკავშირი არის საქართველოს უმთავრესი დონორი და მოსახლეობას აწვდის ინფორმაციას ევროკავშირის იმ დახმარების პროგრამების შესახებ, რომლებიც სოლიდურ საფუძველს ქმნიან ქვეყანაში მდგრადი დემოკრატიული პრინციპების განმტკიცებისათვის, საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის და ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობის მოდელის ფორმირებისათვის ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

შემუშავების პროცესშია „საქართველოს მთავრობის ევროატლანტიკური ინტეგრაციის კომუნიკაციისა და ინფორმაციის სტრატეგია 2016-2017 წლებისთვის“;

საქართველოს მიერ საქართველო-ევროკავშირის „სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ ეფექტურად განხორციელებისთვის, სახელმწიფო მინისტრის აპარატის, როგორც მაკოორდინირებელი უწყების მიერ მომავალ უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით:

- შემუშავდა „ევროკავშირ-საქართველოს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის საკითხებზე ინფორმაციისა და კომუნიკაციის სამოქმედო გეგმა“;
- მომზადდა **ორი საინფორმაციო რგოლი**, რომლებიც დეტალურად განმარტავენ ევროკავშირთან მომავალი უვიზო რეჟიმის პირობებში მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს. ვიდეო რგოლები განთავსდა წამყვან სატელევიზიო და რადიო არხებზე, ასევე სოციალურ მედიაში როგორც ქართულ, ისე უმცირესობების ენებზე;
- მომზადდა **საინფორმაციო ბროშურები** (მათ შორის საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესების ენებზე), რომელიც ვრცელდება საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში;
- შემუშავდა და სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელდა **ინფოგრაფიკული ინტერნეტ აპლიკაცია**;
- ინფორმაცია გამოქვეყნდა წამყვან **ცენტრალურ და რეგიონულ გაზეთებსა და საინფორმაციო პორტალებზე**;

- მიმდინარეობს რეგულარული შეხვედრები მოსახლეობასთან როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში;
- ტარდება სემინარები/ტრენინგები ჟურნალისტებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის.

ამჟამად, მიმდინარეობს საქართველო-ევროკავშირის მონაკვეთს უფიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული კამპანიის მეორე ფაზის განხორციელება.